

ნინო ორჯონიკიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მაია ახვლედიანი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ლალი აბდალაძე  
ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

## სწავლების პროცესში ღირებულებითი ორიენტაციების პრობლემა

DOI: 10.52340/erp.2024.05.44

### აბსტრაქტი

ადამიანების ღირებულებები, მეტწილად ისტორიული დროით, სასიცოცხლო ციკლითა და პიროვნული მახასიათებლებით არის განსაზღვრული.

პიროვნების ღირებულებით ორიენტაციებში მორალს უმთავრესი ადგილი უკავია. იგი ზნეობრივ ღირებულებებთან კონცენტრირდება და ზნეობრიობით არის განპირობებული. გადავხედეთ რა პრობლემის სირთულეს, ვხვდებით, რომ სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას დიდი ძალისხმევა სჭირდება სწორი ორიენტაციების ჩამოყალიბებისათვის.

თანამედროვე მოთხოვნების და სიტუაციების ფონზე სასურველია უპირატესობა მივანიჭოთ დასავლურ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოყენებულ ულტრათანამედროვე მეთოდებს. ის ფაქტიურად მეთოდთა სისტემაა, რომელიც მოიცავს მთლიან აღმზრდელობით პროცესს.

ჩვენი ამოცანის კონკრეტულ გზად მივიჩნით მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფებთან, სხვადასხვა ტიპის ოჯახების წარმომადგენლებთან ღირებულებით-ზნეობრივი ელემენტების ვარიანტული სწავლება და მასთან დაკავშირებული აღზრდის შინაარსის განხორციელება.

ჩვენმა საცდელ-ექსპერიმენტულმა საქმიანობამ დაგვანახა, რომ მიზანმიმართული პედაგოგიური ღონისძიებანი მნიშვნელოვნად აჩქარებს მოსწავლეთა ზნეობრივ შეხედულებათა ჩამოყალიბების პროცესს

**საკვანძო სიტყვები:** მორალი, ზნეობრიობა, არჩევანის უფლება, ქცევა, შეფასება, თვითშეფასება, მეთოდთა სისტემა.

ადამიანების ღირებულებები, მეტწილად ისტორიული დროით, კულტურით, სასიცოცხლო ციკლითა და პიროვნული მახასიათებლებით არის განსაზღვრული.

ღირებულებებს განმარტავენ, როგორც სასურველ, ღრმად გამჯდარ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალს და ამართლებენ წარსულ ქმედებებს.

პიროვნების ღირებულებით ორიენტაციებში მორალს უმთავრესი ადგილი უკავია. იგი ზნეობრივ ღირებულებებთან კონცენტრირდება და ზნეობრიობით არის განპირობებული.

ზნეობრივ ღირებულებებზე ორიენტაციის პროცესში აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ეთიკას საფუძვლად უდევს წარმოდგენა ადამიანისათვის დამახასიათებელი არჩევანის უფლების შესახებ, რითაც არსებითად გამოიხატება მისი ღირებულებითი სიმპათიები.

იმისთვის, რომ ღირებულებითი ორიენტაციების პედაგოგიური პირობები განვსაზღვროთ, უნდა გავარკვიოთ - რაში მდგომარეობს ზნეობრივი სიტუაციის, არჩევანისა და ქცევის სირთულე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზნეობრივი სიტუაცია ადამიანს არჩევანის წინაშე აყენებს, რომელიც ნებაყოფლობით უნდა გააკეთოს, ამასთან ორიენტაცია უნდა აიღოს არა პრაგმატულ მოსაზრებებზე, არამედ ერთგვარ ზეამოცანაზე, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც არავისგან წინასწარ არ არის გარანტირებული. ამიტომაც მას რისკის სიტუაციასაც უწოდებენ. ზნეობრივი არჩევანი კი ამ წინააღმდეგობის დაძლევის ითვალისწინებს, რასაც მოჰყვება ქცევის განხორციელება, ქცევის შეფასება და თვითშეფასება.

გადავხედეთ რა პრობლემის სირთულეს, ვხვდებით, რომ სასწავლო- პედაგოგიურ საქმიანობას დიდი ძალისხმევა სჭირდება სწორი ორიენტაციების ჩამოყალიბებისათვის.

გავეცანით რა სხვადასხვა შრომებსა და კვლევებს, ჩვენი ყურადღება მიიქცია მოსწავლეთა კატეგორიაში ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის კოლექტივის როლმა.

ერთნი აღნიშნავენ, რომ კოლექტიური მოქმედების პრაქტიკაში ხორციელდება ურთიერთობა ადამიანებთან, მყარდება გარკვეული კავშირები გარშემომყოფებთან, ხდება გადაწყვეტილების მიღება და მიმდინარეობს ქცევები,

. სხვებიც ხაზგასმით მიუთითებენ, რომ მთავარია არა ორგანიზაციის ფორმა, არამედ ის ურთიერთობები, რომელიც კოლექტივისათვისაა დამახასიათებელი. ანუ ის ატმოსფერო, რომელიც იქ შეიძლება შეიქმნას, რაც ხელს შეუწყობს ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბებას, მართლაც, თუ დავაკვირდებით, კოლექტიური ურთიერთობები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დროს ხორციელდება ღირებულებათა ურთიერთგაცვლის პროცესი. საერთოდ კი აღმზრდელობითი პროცესის მთლიანობა სწორედ კოლექტიურ მოქმედებებში ვითარდება.

ამ საკითხის კვლევა არ ახალია. იგი 60-70-იანი წლებიდან დაიწყო. მთელი რიგი ავტორებისა იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეფექტური შედეგები სწავლებისა და აღზრდის ერთიანობით მიიღწევა. მოსწავლეები განსაკუთრებით აფასებენ თავისუფალ, არაფორმალურ ურთიერთობებს, როგორც ინფორმაციებისა და ღონისძიებების გაცვლის წყაროს, როგორც თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების საშუალებას. მხოლოდ აუცილებელია საქმიანი და თავისუფალი ურთიერთობების ზნეობრივი კრიტერიუმების ერთიანობა.

თანამედროვე მოთხოვნების და სიტუაციების ფონზე სასურველია უპირატესობა მივანიჭოთ დასავლურ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოყენებულ ულტრათანამედროვე მეთოდებს. ის ფაქტიურად მეთოდთა სისტემაა, რომელიც მოიცავს მთლიან აღმზრდელობით პროცესს:

- მიზანდასახულობის მეთოდი
- საორიენტაციო-შრომითი მეთოდი
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო მეთოდი
- ურთიერთობის მეთოდი
- შეფასებისა და თვითშეფასების მეთოდი.

მიზანი შეიძლება გადაიქცეს მოტივად, შემდეგ კი ცხოვრებისეულ გეგმად. აქ პედაგოგიური ამოცანაა პიროვნებას ჩამოუყალიბდეს დადებითი ღირებულებითი ორიენტაციები, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივ მოთხოვნებს.

მოსწავლეებში ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების შინაარსისა და მეთოდების გამოსაცდელად დავგეგმეთ საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობა

სკოლაში. რა თქმა უნდა უკეთესი იქნებოდა მოგვეცვა მთლიანი მმართველობითი ციკლი, რაც დროში სასწავლო წელს ემთხვევა, მაგრამ რადგან იდეა გვიან გაჩნდა, არ დავკარგეთ დრო და მხოლოდ II სემესტრი მოვიცავით. მუშაობა იმერეთისა და სამეგრელოს სკოლების მე-8- მე-9 კლასებში ჩავატარეთ. დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი გახდა მოსწავლეთა ცალკეული ჯგუფებისადმი ვარიანტული დიფერენცირებული მიდგომა.

ჩვენი ამოცანის კონკრეტულ გზად მივიჩნიეთ მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფებთან, სხვადასხვა ტიპის ოჯახების წარმომადგენლებთან ღირებულებით-ზნეობრივი ელემენტების ვარიანტული სწავლება და მასთან დაკავშირებული აღზრდის შინაარსის განხორციელება.

ჯგუფები შემდეგი პრინციპით დავყავით:

I - ოჯახები, სადაც კარგად ესმით, რა ხდება საზოგადოებაში. ასეთ ოჯახებს აღზრდის თვალსაზრისით კეთილსაიმედოს უწოდებენ. მათთვის დამახასიათებელია ოჯახის სრული სტრუქტურა, მშობლებს უმაღლესი განათლება აქვთ, ოჯახის წევრებს შორის ჰუმანური ურთიერთობებია, გამეფებულია დადებითი შრომითი და ზნეობრივი ატმოსფერო. მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

II - ოჯახები, რომლებიც განიცდიან აღზრდის დეფიციტს ხასიათის სიმბოლოებს. მშობლები კულტურის მაღალი დონით არ გამოირჩევიან, არ აქვთ საკმაო საგანმანათლებლო და პედაგოგიური პოტენციალი, ვერ უზრუნველყოფენ ყოფა-ცხოვრების სწორად დაგეგმვას, სუსტია ბავშვებზე ზედამხედველობა და მომთხოვნელობა. მათზე ცუდად მოქმედებს გარშემო შექმნილი ატმოსფერო.

III - ოჯახები, რომლებიც არაკეთილსაიმედო არიან. აქ ბავშვებზე ზემოქმედება ნეგატიურია. დამახასიათებელია კონფლიქტები, სისასტიკე, ურთიერთ დამცირება. მშობლების განათლება საშუალოზე დაბალია, მატერიალური მდგომარეობა - მძიმე. ასეთ ოჯახის ბავშვები - მშობლიური ზრუნვისა და სიყვარულის დანაკლისის კომპენსაციას ქუჩაში ეძებენ თვითდამკვიდრების გზით.

ზნეობრივი განათლების მრავალფეროვანი ფორმებისგან გამოყავით ისეთები, რომლებიც აფართოებენ ზნეობრივ ცოდნასა და ზნეობრივ წარმოდგენებს. დავგეგმეთ

სკოლაში სემინარები თემებზე: „ისტორია და ჰუმანიზმი“, „ეკონომიკა და ზნეობა“. რა თქმა უნდა შევეცადეთ როგორც სასწავლო, ისე არა სასწავლო დრო.

I ჯგუფის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსებსა და ვიქტორინებში. სხვებზე სწრაფად დაეუფლნენ ამოცანებს, ზნეობრივი მოქმედიანობის შინაარსს. აიმაღლეს დონე დამოუკიდებლობაში, აქტივობაში, პასუხისმგებლობაში, მათი მშობლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სასკოლო ცხოვრებაში.

II ჯგუფის მოზარდებთან მუშაობა გარკვეული სიძნელებით გამოირჩევა. მათ ცოდნის დაბალი დონე, სწავლის არასაკმარისი უნარი, დამახსოვრების პრობლემები აქვთ. არღვევენ დისციპლინას, არ იცავენ რეჟიმს, ნაკლებად ასრულებენ საშინაო დავალებებს. რადგან მათთან შედეგი ადვილად ვერ მიიღწეოდა, შევადგინეთ ვარიანტული პროგრამა, რომლისთვისაც საჭირო იყო შეგვექმნა თვითგამოხატვისა და ხელსაყრელი პირობები. შემოვიტანეთ სოციალური ვარჯიშები, სიტუაციის გათამაშება, ხშირად საუბარი მათთან.

მოზარდებმა თანდათან აითვისეს ზნეობრივი უნარები და ჩვევები, რასაც უფრო მაღალი დონისთვისაა დამახასიათებელი, მათმა მშობლებმა კი I ჯგუფის მშობლების ნიშნები შეიძინეს.

III ჯგუფთან მუშაობა ყველაზე რთული აღმოჩნდა. მათ დაქვეითებული ინტელექტუალური აქტივობა აქვთ არა მარტო სწავლაში, არამედ თამაშშიც. მათში ძალიან დაბალია ზნეობრივ ურთიერთობათა დონე. მატერიალური ფასეულობები კი უფრო მაღალია, ვიდრე სულიერი. ამ ჯგუფთან მეცადინეობები შევუსაბამეთ მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს. ყურადღება გავამახვილეთ საკუთარი „მე“-ს აღმოჩენაზე. პედაგოგები ქმნიდნენ სიტუაციას სადაც მოზარდს ჰქონდა საშუალება დაეფიქსირებინა „მეს“ არსებობა ან არარსებობა. თანდათან მოზარდებმა დაიწყეს საკუთარი „მე“-ს შეფასება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშნების მიხედვით. ბევრ მოსწავლეს რადგან მე-9 კლასიდან ირჩევს პროფესიას, ჩავუტარეთ სპეციალური საუბრები პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, შევახსენეთ პროფესიასთან დაკავშირებული ხალხურ პედაგოგიკაში ასახული რეკომენდაციები და ტრადიციული მოთხოვნები.

დაკვირვებისა და მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე, ჩვენ გამოვყავით ღირებულებითი ორიენტაციის შემდეგი ფაზები: - ჯერ მოსწავლეთა ზნეობრივ

მოთხოვნათა განვითარება, შემდეგ ახალი მოთხოვნები, ღირებულებითი ორიენტაციებისა და მიზნების ზეგავლენა, წინააღმდეგობების აღმოცენება ამ ურთიერთზეგავლენის პროცესში, შემდეგ კი ახალი ღირებულებებისა და მიზნების ძიება სასწავლო-აღმზრდელობით მოქმედიანობაში.

ჩვენმა საცდელ-ექსპერიმენტულმა საქმიანობამ დაგვანახა, რომ მიზანმიმართული პედაგოგიური ღონისძიებანი მნიშვნელოვნად აჩქარებს მოსწავლეთა ზნეობრივ შეხედულებათა ჩამოყალიბების პროცესს.

მნიშვნელოვნად ამაღლდა ექსპერიმენტში ჩართულ მოსწავლეთა ურთიერთობები. ჩვენმა დაკვირვებამ კი დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული სკოლისა და ოჯახის ერთობლივ მუშაობაზე.

აქედან გამომდინარე ვასკვნიტ: მიზანშეწონილია, ღირებულებითი აღზრდის თვალსაზრისით, სკოლისა და ოჯახის ურთიერთგავლენის ეტაპობრივი ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს:

1. განმარტებით და სააგიტაციო მუშაობას პედაგოგიურ და მშობელთა კოლექტივებში.
2. ურთიერთშესწავლას განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით.
3. სკოლასა და ოჯახში შრომის სხვადასხვა დონის კავშირების დამყარებას.
4. ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვას სასწავლო წლისა და სემესტრის მიხედვით.
5. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა მიმართ ვარიანტულ მიდგომას ურთიერთზეგავლენის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე სკოლაში ამ მიმართულებით მუშაობის წარმატება მოითხოვს ჰუმანისტური პოტენციალის აქტუალიზაციას. პედაგოგების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მონაწილეთა შორის ურთიერთზეგავლენის გაფართოებისა და გაღრმავებისაკენ, მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული კულტურის გამყარებისაკენ, სოციალური ორიენტაციის გამოცდილების ჩამოყალიბებისაკენ, ცხოვრების შემოქმედებითი სტილის ათვისებისაკენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- კილაძე ი., მოსწავლის პიროვნებაზე მასწავლებლის ზემოქმედების ზოგიერთი ასპექტი; კრებ. „თავისუფალი პიროვნების განვითარებისათვის“, თბილისი. 1996 წ.
- ორჯონიკიძე ნ., მოსწავლის პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციები, როგორც მოქალაქეობრივი შეგნების პირობა; ჟურნ. „ინტელექტი“, 1999 წ.
- რატინი ს., ქართული საზოგადოებრივი ღირებულებები. ღია საზოგადოება საქართველო. 2006 წ.
- Schwartz S. H.&Bilsk W.,(1987). Toward a Universal Psychological Structure of human values. Journal of Personality end Social Psychologi, 4: 550-562

**Nino Orjonikidze**

Akaki Tsereteli State University of Kutaisi

**Maya Akhvlediani**

Akaki Tsereteli State University of Kutaisi

**Lali Abdaladze**

Shota Meskhia State University of Zugdidi

### **The problem of value orientations in the teaching process**

#### **Abstract**

People's values are largely determined by historical time, life cycle and personal characteristics.

Morality occupies the most important place in the value orientations of a person. It concentrates with moral values and is conditioned by morality.

Looking at the complexity of the problem, we realize that the teaching-pedagogical activity needs a lot of effort to establish the right orientations.

Against the background of modern requirements and situations, it is desirable to give preference to the ultra-modern methods used in Western pedagogical practice, it is actually a system of methods that includes the entire educational process.

We considered variant teaching of value-moral elements with different groups of students, representatives of different types of families and the implementation of related educational content as a concrete way of our task.

Our trial-experimental activities have shown us that targeted pedagogical measures significantly accelerate the process of forming students' moral views.

**Key words:** morality, the right to choose, behavior, evaluation, self-evaluation, system of methods.